№ 83

კვირა, 19 აპრილი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 83

კვირა, 19 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ნატალია გრიგოლის ასული ტარსაიძე შვილებითურთ** აუწყებს რა გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი—ქმრისას, ხოლო დანარჩენნი—მამისა

## ალექსანდრე ლუარსაბის ძის ტარსაიძისას,

უმორჩილესად სთხოვს პატივი სცენ და დაესწრნენ განსვენებულის გვამის დაკრძალვას.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება 18 აპრილს, სალამოს 7 საათზედ, ხოლო გვამის განსვენება სადგომიდგან ოლგას ქუჩა, სახლი პოლკოვნიკის ყორღანოვისა, კალოუბნის ეკკლესია'ში კვირას, 19 აპრილს, დილის 10 საათზედ. (2—73—2)

**კნეინა ბარბარე მელიტონის ასული ვეზირიშვილისა, თავ. გიორგი დიმიტრის ძე ვეზირიშვილი, ელისაბედ დიმიტრის ასული ფალავანდიშვილი, იოსებ რევაზის ძე ფალავანდიშვილი და ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—საყვარელის მეუღლისას, მეორე და მესამე—მამისას, ხოლო დანარჩენნი—სიმამრისას

## გენერალ-მაიორის დიმიტრი გიორგის ძის ვეზირიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ ქ. ტფილისს, „გრანდ-ოტელლის" სასტუმროში, სადაც ყოველდღე პანაშვიდი იქნება გარდახდილი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ნაშუადღევის პირველსა და სალამოს 8 საათზედ. განსვენებულის გვამს გამოასვენებენ სამშაბათს, 21 აპრილს, დილის 10 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, საიდგანაც, წირვისა და ანდერძის გარდახდის შემდეგ, წაასვენებენ რკინის გზის სადგურზედ სოფ. ოსიაურს მისასვენებლად, სადაც საგვარეულო სამარხში იქმნება დაკრძალული. (2—74—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე' კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ა. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. შროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

სალამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ტფილისი, 19 აპრილი

წარსულს საუკუნოებში საქართველოს ხალხს ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა კავკასიაში. თუმცა ამას ყოველივე კუთხიდგანა და მხრიდგან მტრები ესეოდნენ და უნდოდათ მისთვის წაერთმიათ ხალხოსნობა, სარწმუნოება და ენა,—ერთის სიტყვით ყველა ის, რაც კაცისათვის დაუფასებელი საუნჯეა, მაგრამ მაინც საქართველოს ხალხმა თავისის მხნეობით, თავგანწირულობითა და ბეჯითობით თავი შეინახა ამ მეცხრამეტე საუკუნემდის და არ გაანადგურებინა ოდნავარ მტრებს. ჩვენ საუკუნეში ის იარაღი, რა იარაღითაც თავს იცავდა საქართველოს ხალხი უწინ, აღარ არის მისთვის საჭირო. რუსეთის სახელმწიფო იფარავს მას გარეშე მტრებისაგან თავისის მძლავრის იარაღით და ამის გამო გარეშე მტრების მხრივ საქართველოს ხიფათი აღარ მოელის. მაგრამ ის უკიდურესი მდგომარეობა-კი, რა უკიდურესს მდგომარეობაშიაც ეხლაა საქართველოს ხალხი, ფრიად ჩამაფიქრებელია და მოითხოვს სხვანაირს ბრძოლას, სხვანაირ იარაღს. ერთი უკეთესთაგანი იარაღი, რომელსაც შეუძლიან გამოიხსნას ქართველი ხალხი უკიდურესის მდგომარეობისაგან, არის განათლება—გონებითი განვითარება. აი ეს იარაღი, ჩვენდა სამწუხაროდ, არ გვიჭირავს ხელში და ამ მხრივ ჩვენს მეზობლებს დიდად ჩამოვრჩენილვართ. საკმაოა წარმოვიდგინოთ, რომ ტფილისის გუბერნიაში ირიცხება რვაას რვა ათასი (808,000) მცხოვრებელი და ამათ შორის 400,000 (ოთხასი ათასი) ქართველია; დანარჩენნი არიან რუსი, სომეხი, თათარი, ურია და სხვა-და-სხვა ტომის მცხოვრებნი. ამის მიხედვით, რასაკვირველია, ტფილისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვიც თუ ნახევარი არა, მესამედი მაინც უთუოდ ქართველობა უნდა იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

აი, ავიღოთ დაბეჭდილი და გამოცემული 1896 წ. ანგარიში სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა და გადავავლოთ თვალი საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვს ტფილისის გუბერნიაში. ტფილისის სამს კლასიკურს გიმნაზიაში და ერთ რეალურ სასწავლებელში 1896 წ. უსწავლია 2,515 ყმაწვილს. ამათ შორის 920 რუსი ყოფილა, 875 სომეხი, 373 ქართველი, 70 ურია, 53 თათარი ᲓᲐ სხვა-და-სხვა ტომისანი 224 ყმაწ. მაშასადამე, ქართველთა მოსწავლეთა რიცხვი მოხსენებულ სასწავლებლებში შეადგენს ყველა მოსწავლეთა რიცხვის ნახევარს-კი არა, როგორც უნდა ყოფილიყო მთელის გუბერნიის მცხოვრეთა რიცხვის მიხედვით, არამედ ცოტა მეტს მეექვსედზედ; ჩვენის მეზობლების ყმაწვილების რიცხვი-კი თითქმის მესამედია მოსწავლეთა მთელის რიცხვისა, თუმცა გუბერნიაში სომეხთა რიცხვი არ აღემატება 270 ათასს. ქართველთა მოსწავლეთა სიმცირე საშუალო სასწავლებლებში ბევრს აფიქრებინებს ხოლმე ხშირად, რომ ქართველებს ბეჯითობა აკლიათო, და თითქმის უნიჭობასაც სწამებენ. მაგრამ ქართველთა მოსწავლეთ სიმცირეს საშუალო სასწავლებლებში თავისი მიზეზები აქვს. იმ ჟამიდგან, როდესაც საქართველოს მეფემ ჩააბარა რუსე-

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

ვაჟკაცს არ ჰშვენის სილაჩრე,
უნდა ჰლომობდე' გულითა!
იღვწოდეს კეთილისათვის
თვისის ძალ-ღონით სრულითა;
არ გაიტეხოს მან გული,
ქვეყნის უკუღმა ბრუნვითა;
მტერს მტრულად დახვდეს, გაუძლვეს,
მოყვარეს—სიყვარულითა.

ხელოსანი

### ნ. მარრის მეცნიური მედიდურება *)

განსვენებული პეტრე დადიანი ამბობდა, როცა ეტყოდენ, რომ ამდა-ამ ნასწავლმა კაცმა ამნაირი სისულელე ჩაიდინაო: „ბატონებო, სწავლა სტუმარია და ჭკუა—მასპინძელი; სტუმარი მოვა და ისევ წავა, თუ მასპინძელი შინ არ დახვდა". ნუ თუ მრავლის ენის ცოდნამ პატიოსან პრივატ-დოცენტს ისე აურია ცხადი შეგნება, რომ ამტყუნებს სხვებს იმაში, რაშიაც თითონ პირველ ცოდვილია. უფ. მარრი უნდა ესაყვედურებოდეს ვინმეს, რომ მასთან დაობაში არ ხმარობენო ღირსეულ კილოს, როცა თვითონ იწყებს ბაასს ამნაირი სიტყვებით: „отсутствіе здраваго смысла выдавалось за послѣднее слово науки... неужели не понимаешь, Акакій, что, требуя (?!) отъ каждаго исключительно имъ исповѣдуемыхъ взглядовъ и, грозя за всякое иное отношеніе къ дѣлу **инсинуаціями**... погнушается повторять безъ провѣрки сплетни (?!)... мало просвѣщенная грузинская интеллигентная (?) среда" და სხვა?! ამისთანა „მეცნიურ" მასლაათთან უფ. მარრს კიდევ ერთი ჯორი ჰყავს, რომელზედაც იგი ხშირად ნებულობს ამხედრებას. ქართველების ისტორიის და ძველი მწერლობის შესახებ სრულიად უსაფუძვლო თუ რამე წამოაბადა და თუ მაშინავე არ დაუჯერეთ, უსათუოდ იგი შეგწამებს, რომ თქვენ სიმართლის ცოდნა არ გსურთო და „ცრუპატრიოტობის" გრძნობას მხოლოდ მძლვნელობთო" ბატონი მარრი რომ არ გაგვირისხდეს და არ ბრძანოს: ამათ რა გაეგებათო მეცნიური აღმოჩენებისა მნიშვნელობა (значеніе научныхъ аргументовъ), უსათუოდ უნდა დაერწმუნოთ შემდევს მის განჩინებას:—I, განსვენებული პატკანიანი თვალ-საჩინო მეცნიერი იყო და მეცნიერების წინაშე მას დიდი ღვაწლი უზის ქართული მატიანების გამჭრიახული განხილვით („благотворной для грузиновѣдѣнія научной критикой"), თუმცა კარგად გახსოვდეს, მისივე—პატკანიანის თქმით, იგი ლურსმულ წარწერებს ვერ კითხულობდა და მაინც ედავებოდა უპირველეს კუნეილოგებს, თუმც უძველეს არმენიის ისტორიაზე მან ორი ერთიმეორის წინააღმდეგი აზრი „მეცნიურად" წარმოსთქვა [1]) და თუმცა უძველესი ქართ. მატიანების „გამჭრიახული განხილვის" უმთავრეს ნაყოფად რჩება მხოლოდ ის განსაზრება, რომ ეს მატიანები მე-XII საუკ. ქ. ღ. შ. ვიცხა უმეცარ „სომეხს" შეეთხზოს და იმავე დროს მეორე სომეხს სომხურად ეთარგმნოს [2]).

II, პატკანიანის მოწაფე, უფ. მარრი, რადგანაც მან ქართულთან სომხური ენაც იცის, ამ ორი ეროვნობის ყოველ-ნაირ საქმეში დიდებული და პირუთნეული მსაჯულ მეცნიერი ბძანდება, თუმცა ამ საგანზე მას მცირე შენიშვნების გარდა, რომლებსაც იგი ხან-და-ხან სულგრძელობით უზიარებს ზოგიერთ ჟურნალ გაზეთებს, აქამდის არავითარი ღირსეული ნაშრომ-ნაღვაწლი არ გამოუქვეყნებია.

III, ქართული ანბანი შემდეგარი არის უეჭველად სომხური ანბანის გავლენით, თუმცა უფ. მარრს ამის დამამტკიცარი ჯერ არაფერი არ აღმოუჩენია და არც არის რამე, გარდა მცირე რწმენის ღირსის მოწმობისა ზოგიერთი „ისტორიკოსებისა", რომლებსაც არაფრად მიაჩნდათ მითვისება სხვის: სახელწოდებისა, თხზულებისა და ეროვნულ მოქმედებისა.

IV, ქართულად სამღვთო-წერილები უეჭველად სომხური ენიდან უთარგმნიათ პირველად, თუმცა ეს საგანი ჯერ არავის რიგიანათ არ გამოურკვევია და თუმცა უძველესი ნათარგმანები სამღვთო წერილებისა ქართულ ენაზე იწოდებიან „იერუსალიმელად" [3]).

V, როცა დაობენ იმაზე—რა ენას: ქართულს თუ სომხურს უფრო ჰქონიათ გავლენა ერთმანერთზე, უპირველესობა უნდა მიანიჭოთ სომხურენას, თუმცა ამის წინააღმდეგი იყოს შეურყეველი ისტორიული მოწმობა.

აქ პატიოსანი პრივატ-დოცენტი, უსათუოდ, თავისებურათ გაიცინებს და მედიდურად გვიბრძანებს: აბა, მიჩვენეთ ეს „შეურყეველი ისტორიული", ჩემგან, ცოდნის-კოლოფისაგან, უცნობი ცნობები. თუ დიდებული მეცნიერი მცირე ხნით მაინც დაიბრუნებს საქმის ცხად შეგნებას, მაშინ ამასაც მოვახსენებთ მათ მოწიწებით.—ამნაირ ისტორიულ მოწმობათ ხდება თვისება „ვანურ" წარწერების ენისა. რომელ ენას: ქართულს თუ სომხურს ენათესავება ამ წარწერების ენა, იმას, რასაკვირველია, უძველეს დროში (მე-IX-VII საუკუნ. შვა ქ. ღ. წ.) ექმნებოდა უფრო გავლენა. რომ ყველა ენებზე უფრო ვანური წარწერების ენა ემსგავსება ქართულს, ამას „ნამდვილი ევროპიულნი" მეცნიერები რომ არ ამტკიცებდენ, ჩვენც, ვინც-კი ვიცით ახლანდელი ქართულის მოდგმის ენები, მაინც მივხვდებოდით ერთის ლექსთ წინადადებიდან, რომლის ინტერპრეტაციაში მონაწილეობა მიუღიათ თვითონ უფ. მარრს და რომელსაც ლათინური ასოებით ასე სწერენ: i ni-mi i li e a-gu-u-gu-i (ეს მილი გამოვიღე). „ინი" სვანურად—ალი; „მილი"

*) ვბეჭდავთ ამ წერილს პატივცემულ ავტორისას ენის მხრივ ყოვლად შეუცვლელად. რედ.

[1]) ნახე მისი—„Изслѣд. о діалект. армянск. языка" და „Ванскія надписи".

[2]) ნახე—Нов. Обз. № 4842: „Какъ ученикъ покойнаго профессора, съ гордостью признаемъ за нимъ эту заслугу передъ лицемъ науки..." (?!.)

[3]) ნახ. ჟორდანიას ქრონიკები, I ნაწ. გვერ: 86, 93, 94 და 121—125.

თის დიდ ხელმწიფეს თავისი პირმშო შვილი—საქართველო, და მიანდო ზრუნვა მისის კეთილ-დღეობისათვის, იმ დღიდგან რუსეთი არა ჰზოგავდა არც ფულს და არც არავითარს სახსარს, რომ საქართველოში მოეფინა განათლება. ამ განათლების მოსაფენად იგი აარსებდა სასწავლებლებსა ქალაქებში. ჩვენდა სამწუხაროდ, ქალაქებში-კი ქართველობა მცირე იყო და ეხლაც მცირეა. ვამბობ ქართველობა ქალაქებში მცირეა მეთქი და ჯერ-ჯერობით მცირეც იქმნება, იმისათვის რომ საქართველოს ხალხი წარსულ საუკუნოებში დიდი დ პატარა თოფ-იარაღში იყო გაწყობილი და გამზადებული თავისის ქვეყნის დასაცველად. იმას მაშინ დრო არა ჰქონდა და არც გარემოება ნებას აძლევდა ვაჭრობას გამოსდგომოდა და ქალაქში ბინა მოეკიდნა. დროსა და გარემოებას არ უყურებდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც აკლდათ ბეჯითობა, თავ-განწირულება თავის სამშობლოსათვის და უშიშრობა. ამ მიზეზის მიხედვით არავინ არ უნდა გაიკვირვოს, რომ საქართველოს ქალაქებში ცოტანი ყოფილან და ეხლაც ჯერ-ჯერობით ცოტანი არიან ქართველები. საშუალო სასწავლებლებს-კი ქალაქებში აარსებდნენ ვითომ განათლების მოსაფენად საქართველოში. აქედამ წარმოსდგა ის, რასაც ეხლა ჩვენ ვხედავთ და რაც აგრე საფიქრებელია საქართველოსათვის. მოქალაქეთ ჩაიგდეს ხელში ფული და განათლება—ის იარაღი, რომელიც აგრე გამოსადეგია ჩვენს ეხლანდელს ცხოვრებაში. უბრალო მეჩექმეს, უბრალო დერციკს, უბრალო ვაჭარს, რომლის სიმდიდრეს შეადგენს სულ სამოც—ოთხმოცი თუმნის საქონელი, შეუძლიან გაზარდოს შვილი რომელსამე სასწავლებელში, შეუძლიან და კიდევაც ჰზრდის; ქართველს-კი, რომელიც სოფლად სცხოვრობს, დიდი შემოსავალი უნდა ჰქონდეს, რომ მან შვილი გაჰზარდოს საშუალო სასწავლებელში. პირველთ, როგორც ქალაქის ბინადრებს, ადვილად შეუძლიანთ მასწავლებლის შოვნაც და საშუალო სასწავლებელში მიბარება თავიანთის შვილებისა, რადგან მხოლოდ სწავლის ფულის გადახდა დასჭირდებათ. მაგრამ სულ სხვა სურათს წარმოადგენს სოფელში მცხოვრები ქართველი. თავისის შვილის მოსამზადებლად თუ იგი მასწავლებელს სოფელში წაიყვანს, იაფად არ დაუჯდება—და თუ კიდევ ქალაქში გამოგზავნის უსუსურ ბავშვს და უცხო ოჯახში დააყენებს, ეს ხომ უფრო ძვირად დაუჯდება და ვინ იცის კიდევ რა მწარე დღეებს გამოივლის. ერთის სიტყვით, მოქალაქეს ყველა იარაღი ხელში უჭირავს, რომ შვილი სახელმწიფო სასწავლებელში გამოზარდოს უფრო ადვილად, ვიდრე სოფლელს, თუნდაც კარგს მემამულეს.

აი, ამით აიხსნება ის, რომ საშუალო სახელმწიფო სასწავლებლებში თუ ათი ქართველია, ოც-და-ათი სომეხია, და თუ ოც-და-ათი ქართველია—ოთხმოც და ათი სომეხია. ჩვენს ტფილისის ქალაქში, რომლის დასაცველად რამდენიმე საუკუნე ქართველი ხალხი იბრძოდა, სადაც კაცი ვერ შეხვდება, ვერა ჰნახავს ერთი ბეწვა ადგილს, რომელზედ არ იყოს დანთხეული ქართველის სისხლი, ამ ქართველების სისხლსა და ძვლებზედ გაშენებულს ქალაქში, ხუთ განათლებულ ქართველებთან ხუთმეტი განათლებული მოქალაქე მოდის. რომ ასე წავიდეს საქმე და არაფერი ღონისძიება არ ვიხმაროთ, იქნება განათლებული ქართველი კაცი ტფილისის გუბერნიაში იშვიათი გახდეს, რადგანაც სიძვირისა გამო სულ უფრო და უფრო გაუძნელდებათ სოფლად მცხოვრებელს ქართველს შვილების აღზრდა სასწავლებელში. რამდენადაც კაცი დაუკვირდება ამ გარემოებას, იმდენად საშიშს სურათს წარმოიდგენს საქართველოს მომავლისას. ჩვენს თავს უნდა მოუაროთ.

აქედგან ყველასათვის ადვილი მისახვედრია, თუ რა მაღალი მნიშვნელობა აქვს ამ ჟამად სათავად-აზნაურო სკოლას ქართველთ მშობლებისთვის და ამისათვის რა დიდი ვალდებულობა აწევს კისერზედ ყველა ქართველს ამოუჩინოს სკოლას ყოველგვარი დახმარება, რათა იგი შეიქმნას მკვიდრი და დაუშრობელი აუზი განათლების გავრცელებისა ქართველთა შორის.

ნ. ცხვედაძე

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: უმცროსი სასმელთა კონტროლიორი მეორე ნაწილისა, კოლლეჟსკი რეგისტრატორი ისიდორე ქიქოძე—იმავე ნაწილის უფროსს კონტროლიორად.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი 25 აპრილს გამოემგზავრება ტფილისისაკენ. მთავარ-მართებელთან ერთად უკან დაბრუნდებიან ყველანი, ვინც თან გაჰყვნენ პეტერბურგს.

*** დღეს, 19 აპრილს, სიონის ტაძარში წირვის დაწყებამდის ეპისკოპოსად აკურთხებენ ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის წევრს არქიმანდრიტს ლეონიდეს, რომელიც გორის ეპისკოპოსად და საქართველოს ვიკარად არის დანიშნული.

*** 23 აპრილს სათავად-აზნაურო სადგომში „ტფილისის გუბერ. ღარიბ თავად-აზნაურთა შვილების დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა საერთო კრებაა დანიშნული. კრებამ უნდა განიხილოს 1897 წ. ანგარიში, 1898 წლის ხარჯთ აღრიცხვა, გამგე კომიტეტის მოხსენება მამულის შეძენისა და სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოსათავსებელ შენობის აგების შესახებ. კრებამვე უნდა აირჩიოს გამგე კომიტეტის წევრები შემდეგის ოთხის წლისათვის.

*** სამოსწავლო კომისიამ 16 აპრილის კრებაზედ დაადგინა ყოველ ქალაქის სასწავლებლისათვის საკუთარი შენობა იქმნეს აგებული. ამავე კრებამ დაადგინა შემდეგ განიხილონ მასწავლებლების თხოვნები განზრახულ სასწავლებლების მასწავლებლობაზედ.

*** დღეს, 19 აპრილს, დღის $12^1/_2$ საათზედ კავკასიის სააბრეშუმო სადგურში კრება ექმნებათ საბაღოსნო საზოგადოების წევრთ. კრების დროს, სხვათა შორის, გამართულ იქმნება მერვე საუბარი მეფუტკრეობის შესახებ და მსურველთ შეუძლიანთ გამოჰფინონ ხილეულობა, მწვანილეულობა და ყვავილეულობა.

*** ხუთშაბათს მეორე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია ქალაქის გამგეობის მიერ აღძრული საჩივარი იმ ცხრა ძველის ტანისამოსით მოვაჭრეთა წინააღმდეგ, რომელთაც საბჭოს განკარგულება არ აღასრულეს და ძველი ტანისამოსი არ წარადგინეს სადეზინფექციო სადგურში. მომრიგებელმა მოსამართლემ დამნაშავედ იცნო ყველანი და დაადგინა, თითოს 20—30 მან. ჯარიმა გარდახდეს და დაევალოთ საბჭოს განკარგულების ამიერიდგან ასრულება.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის განკარგულებით ხელი მიჰყვეს წიგნაკის ბეჭდვას: „დარიგებანი ამერიკულ ბამბის მოვლა-მოყვანისა ამიერ-კავკასიაში“, რომელიც აგრონომის ტარატინოვის მიერ არის შედგენილი. წიგნაკი დაიბეჭდება რუსულსა, ქართულსა, სომხურსა და თათრულს ენებზედ და მუქთად დაურიგდებათ მეურნეთ. წიგნაკი წინანდელ გამოცემასთან შედარებით უფრო ვრცელია და, სხვათა შორის, მოთავსებულია დარიგებანი ადგილის არჩევისა, მამულის შემუშავებისა, თესლის ღირსების გაგებისა, დათესვისა და მორწყვის შესახებ.

*** 26 აპრილს აირჩევენ ტფილისის სახელმწიფო რაბბინს სამის წლის ვადით 1898 წ. 1901 წლამდის, ბ-ნ ლევინის მაგიერ.

*** იმ აფიცერთა გამოსაცდელად, რომელთაც სურვილი განაცხადეს წელს ნიკოლოოზის საგენერალო შტაბისა და სამხედრო იურიდიულ აკადემიაში შესვლისა და აგრეთვე აღმოსავლეთ ენების კურსებზედ, რომელიც აფიცერთათვის გარეშე საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის სამოსწავლო განყოფილებასთან იქმნა დაარსებული, პირველ მაისს ოლქის შტაბთან არსდება გამომცდელი კომისია გენ.-ლეიტ. ზელიონის თავმჯდომარეობით.

*** ბაქოში უფრო სასტიკის თვალით უყურებს საზოგადოება დუელს,

---

ქართულად—მილი და ზმა—„ალუდი“ სვანურად—ალვილ, მეგრულად—გეგთიიბლი და ქართულად—გამოვიდე. ერთ ლექსთ-წინადადებაში სრული მსგავსება ნაცვალ და არსებითი სახელებისა და ზმებისა ზოგიერთი „პროფესორებისა“ გარდა, ყველას უნდა მიაჩნდეს არა-მცირე საბუთად ენების ერთმანეთის ნათესაობისა.

მე-VI საუკუნიდგან ქ. დ. წ. ქრისტეს რჯულის მიღებამდე, ე. ი. ცხრაას წლების განმავლობაში ქართულ ენაზე მიდიელ-სპარსელებისა, ბერძნებისა, პართიელებისა, რომაელებისა და ხელმეორეთ სპარსელებისა ენების გავლენას თუ ვინმე ბძანებს—გვჯერა, და გავლენა „ახლანდელ სომეხთ-წინაპართ“ ენისა, სწორეთ, არა და არა. იმ ერს, რომელსაც გავლენა აქვს სხვა უცხო ერებზე, სჭირია ერთი რამ სულ უბრალო, უფ. მარრიდან დავიწყებული, მაგალითად, ძალა და დიდებული მდგომარეობა საისტორიო ასპარეზზე. ეს თვისება „ახლანდელ სომეხთ-წინაპართ“ რომ ჰქონოდათ—ამას არავინ და არაფერი არ ამტკიცებს, გარდა მათი „ისტორიკოსებისა“, რომელთაც გამოუგონიათ, უკეთესის მცოდნის მათი ამბვისა, სენ მარტენის თქმით, სიცრუით სავსე ძლევა-მოსილი მოღვაწეობა მათი ეროვნობისა.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ საზოგადო ისტორია საკმაოდ ცნობილია, რომ უფალ მარრის მეცნიერ მეშაითობას ადგილი ჰქონდეს. რა უნდა უთხრას კაცმა იმისთანა „ცოდნის-კოლოფს“, რომელიც ლაპარაკობს, რომ ამ საუკუნოის დასაწყისამდე საქართველოს სამეფომ თუ გაძლოო, ისევ სომხების შემწეობით, რადგანაც მტრების პირველ ტურა-ღვრელები მათ ხვდებოდაო *). ერთი ეს ბრძანონ, ის ერი, რომელსაც მე-V საუკუნოიდან ქ. დ. შ. თვით არსებობა არა ჰქონია და რომელიც იმავე მტრების ყურმოჭრილი მონა იყო, იმავე მტრებიდან რანაირად დაიცავდა „ქართველების ეროვნობას 14 საუკუნოის განმავლობაში!? ნუ უკვე უფ. მარრს, მარტოთ სამეცნიერო ენდილმა აძლევს ნებას ალუაროს ქართველებს მათი ისტორია ისე, როგორც მას სურს, და რა-კი ერთხელ ჩავარდა ტანა-ჯორის ნაკვალევში, ეცადოს მორევას მისი ენდილმით და სიამაყით, რომელიც არ შეშვენის მეცნიერს? ნუ თუ უფ. მარრი ფიქრობს, რომ სომეხთ-ქართველების განხეთქილებას შველის იმისთანა სამეცნიერო თხზულებანი, რომელთა იგი სწერს?

„შენის დამართ—მსრბოლის სიმართლის მდინარე, შეგინებისა მწვირე უფროსად ვამრავალწილე, ვითარცა რაჲ მკვლელობრმან ცნობამან კაენისამან“.

თაჰარყან დ.

*) ნახე „ახალ. მიმოხ“. № 4892, 3 სვეტ. 35-56 სტრიქ.

## დ ე დ ა

(ფრანგულიდგან *)

კვლავინდებურად ამ ხუთშაბათსაც ქალბატონი მირუ, ცოტა მოქანცული და ფერ-მიხდილი, მძიმედ მიდიოდა ამსტერდამის ქუჩაზედ, აქეთ-იქით თავისი პატარა ქალები მისდევდა და წინ კიდევ ორი პატარა ვაჟი მიუძღოდა. კონკაში არ ჩაჯდა, რადგანაც ოთხის ალაგის შოვნა მეტად გაუძნელდებოდა და ერთ რიგად ხარჯსაც მოერიდა.

აღშფოთებული ყოველ ეტლის დანახვის გამო, ფეხ-მძიმე და ამასთან დატვირთული იმოდენა ბავშვებით ქ-ნი მირუ სრულიად მოიქანცა და მთელს გზას თან ბოდიშს იხდიდა გამვლელ გამომვლელთან, თან ბავშვებს აფრთხილებდა: „ტოტო, ამ ქალბატონს გზა დაუთმე... უკაცრაოდ, ქალბატონო! ლოლოტ, ფეხებს ნუ მიათრევ!.. ფიფინა! მუშას მოერიდე... უკაცრაოდ, ბატონო!.. პიერო, მოიცა, ნუ ჩქარობ, ჯერ ნუ გადახვალ იქით მხარეს. აი, ეხლა-კი დრო არის, წადი ჩქარა!“ ღონე მიხდილი, ამ ქუჩის ალიაქოთში ქალბატონი მირუ მიდიოდა და თავისს თავს ეკითხებოდა, რის გულისათვის იტანდა ყოველ ხუთშაბათს ამ ტანჯვას და მიცოცავდა ბატინიოლის მხარეს თავისის ბიძის ეტიენის სანახავად, რომლისაგან თავის სიცოცხლეში კეთილი არა ახსოვდა რა.

ბიძა ეტიენი მოხუცებული, უცოლშვილო კაცი იყო, დიდად თავმოყვარე, მიუნდობელი და ძუნწი, თუმცა მდიდარი-კი. ბიძა მუდამ ჰკიცხავდა ქალბატონ მირუს, რადგან იგი ღარიბს კაცს გაჰყვა ცოლად. ქალბატონი მირუ მაინც ბიძას არ ივიწყებდა და პატივსა სცემდა, რადგანაც თავისის უწინდელის ოჯახის სიყვარული ჰქონდა და ამასთან სიყმაწვილესაც ახსენებდა. ამ გვარ ყურადღებისათვის და პატივის ცემისათვის მირუს თავისს დღეში ბიძისაგან არამც თუ საჩუქარი არა მიუღია რა, მადლობაც-კი არ გაუგონია. პირ-იქით, ყოველ მის მისვლაზედ სულ ბავშვების შესახებ ჰბუტბუტებდა და ლაპარაკში მათრახებს გადაჰკრავდა ხოლმე იმის ქმარს. ამისდა მიუხედავად ქ-ნი მირუ მაინც ამჩნევდა ბიძას, რომ იმათი მოსვლა ართობდა, და, როგორც მოხუცებული და ავადმყოფი, ებრალებოდა კიდეც.

### II

ამ ხუთშაბათს ქალ. მირუს თავისი ბიძა კვლავინდებულზედ გატეხილი ეჩვენა. გაყვითლებული, თვალებ-ჩაცვივნული იგი კანკალებდა და ღონე მიხრწნილი იჯდა თავისს სავარძელში.

— თქვენი ბიჭები სასადილო ოთახში გაიყვანეთ სათამაშოდ და თქვენ აქ დაბრუნდით, მინდა მოგელაპარაკოთ.

ამ სიტყვებმა ქ-ნი მირუ ძალიან ააღელვა.

ბავშვები გაიყვანა და დაარიგა, რომ ჭკვიანად ეთამაშნათ, კარები გამოიხურა და მოწიწებით მოუჯდა ბიძას. ოცის წლის განმავლობაში ამ ოთახში არა გამოცვლილიყო-რა, ასე რომ ქ-ნ მირუს თავისი თავი ისევ პატარა ეგონა.

ბიძამ დაიწყო:

— მე დღეს ძალიან ცუდადა ვგრძნობ ჩემს თავს, ვიცი რომ სიკვდილი მომიახლოვდა და სიკვდილის პირამდის მიხწეულისაგან სიმართლე არ უნდა გეწყინოთ. კარგად ვიცი, რომ თქვენ ჩემი სიყვარული არა გაქვთ და არც გემდურით ამისთვის, რადგანაც ჩემის მხრივ სიკეთე არა გახსოვთ-რა... მაშასადამე, თქვენ ისე ბეჯითად მუდმივ არ ივლიდით ჩემს სანახავად, თუ სხვა აზრი რამ არა გქონდეთ-რა... ნუ კი აღშფოთდებით! ეგ აზრი დასაძრახი არ არის, მეტადრე დედისათვის, რომელიც თავისის ქმარ-შვილისათვის ჰზრუნავს... მაშ ნუ გრცხვენიანთ, გამიზიარეთ თქვენი აზრი, იქნება ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული თქვენ საბედნიეროდ.

ეს ცილის წამება რომ გაიგონა, ქ-ნი მირუ ჯერ გაწითლდა და მერე გაფითრდა. მართალია, იცოდა, რომ ბიძა თავისს განმარტოვებულს ცხოვრებაში მიუნდობელი და ეჭვიანი გახდა, მაგრამ ამ სიტყვებმა მაინც გული მოუკლა, პასუხის მიცემასაც ვერა ჰბედავდა, რომ ბიძას ცრემლები არ შეემჩნია მისთვის. ეტიენმა განაგრძო:

*) Charles Foley. „Petite Maman“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ტფილისში. ვიღაც მ—მ, მიიღო თუ არა ბარათი ჩ—საგან, რომ დუელში უნდა გამოხვიდე და მებრძოლო ჩემის შეურაცხებისათვისაო, მაშინვე უარი შეუთვალა და ამასთან პოლიცმეისტერს გამოუცხადა თურმე, რომ შესაფერი ღონისძიება იღონეთ ჩემ დასაცველადაო, ჩ—ს წერილიც წარუდგინა.

⁂ ამ ჟამად გამოირკვევა იმ დაკარგულ 50 ათას მან. ვითარება, რომელიც სახელმწიფო ბანკმა გაუგზავნა იგდირის ხაზინას და დაიკარგა. დამნაშავედ ცნობილ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ო—ძე. ო—ძეს მოუპარავს თუ არა ფული, მაშინვე პატარა ყუთში შეუნახავს და დაკეტილი ყუთი შესანახად მიუბარებია ეკატერინე კ—ტიევისათვის. რამდენისამე დღის შემდეგ უკანვე გამოურთმევია, გაუხსნია ყუთი და მთელი დასტა ფულისა უჩვენებია ქალისათვის. კ—ტიევა მიხვედრილა, რომ ფული მოპარული იქმნებაო, და უთქვამს, რომ ნახევარი მე მომეცი თორემ გაგცემო. ო—ძეს 10,000 მან. მიუცია ქალისათვის, რომელმაც ამ ფულით ადგილი იყიდა ახალ-ჰოლლანდიის უბანში და სახლიც აიშენა. დაპატიმრებულმა კ—ტიევამ ყველა ზემოხსენებული თავის პირით აღიარა და დაუმატა, რომ ო—ძემ მაჩუქა აგრეთვე ბრილიანტის ბეჭედი, გულის ქინძისთავი და სხვა, რომლებიც მე შესანახად ზ—ეს გადავეციო. ზ—ეს სახლების გაჩხრეკამ ამ სიტყვების სიმართლე დაამტკიცა. ცოლ-ქმარი კ—ტიევები სასამართლოს გამომძიებლის დანილოვის მიერ დაპატიმრებულ იქმნენ.

⁂ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელმა 70 წლის ნიკო ციცქიშვილმა გამოუცხადა პოლიცმეისტერს, რომ 16 აპრილს ერევნის მოედანზედ შვილით მივდიოდი, რომელიც სულით ავადმყოფია და საცალა გადამეფარაო. პოლიცმეისტერმა ბრძანება დაუგზავნა ბოქაულებს, რომ მონახეთ ეფრემ ციცქიშვილი და, როცა იპოვოთ, მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეთო.

⁂ პარასკევს, 17 აპრილს, მოხდა კრება, რომელსაც საგნადა აქვს ამიერ კავკასიაში შემოიღოს წესი შესახებ ჭირიანის საქონლის დახოცვისა.

კრებამ ცოტაოდენის კამათის შემდეგ გადასწყვიტა დადგენილ იქმნას ნიხრი იმისი, თუ რამდენი მიეცეს დახოცილ ჭირიანის საქონლის პატრონს სხვა-და-სხვა ადგილას.

შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, სასურველია, რომ საქონლის გარეკვა ნება დართულ იყოს ამიერ კავკასიაში ყველგან, სადაც-კი ჭირი არ არის. საქონლის გასარეკად პატრონს უნდა მიეცეს ხოლმე მოწმობა, რომელშიაც აღნიშნული იქმნება: სახელი საძოვარის ადგილისა, რაოდენობა საქონლისა და გზები, რა გზებითაც უნდა გაირეკოს საქონელი. გარდაწყვეტილია აგრედვე გაკეთდეს განიერი გზები საქონლის გასარეკად, გაუქმდეს ვიწრო გზები, დაარსდეს საძოვარი ადგილები საქონლისათვის გზაში, თუ ვინიცობაა ჭირიანი აღმოჩნდა და აგრედვე დაწესებული იქმნას ნიხრი საძოვარ ადგილებზე. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, რომ ბეითლებმა თვალყური ადევნონ ხოლმე გზაში ჭირიანს საქონელს.

⁂ ბაქოს მოვაჭრე ებრაელთ საჩივარი მიურთმევიათ ბაქოს გუბერნატორისათვის პოლიცმეისტრის განკარგულებაზედ, რომლითაც დაევალათ მაღაზიებსა და დუქნებზედ ნამდვილ ებრაულ სახელისა და გვარის წარწერა. ამ განკარგულებას ჯერ ერთი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო, სწერენ საჩივარში და მეორედ, კანონი სრულიად მოვალედ არა ჰხდის ებრაულ მოვაჭრეთ, ებრაელი სახელი და გვარი წააწერონო.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ხიმში,** (რაჭის მაზრა). მარტის ნასკსხებმა დღეებმა მთლად სიცოცხლე გაუმწარა მუშა ხალხს. 30 მარტს ერთი მეოთხედი ადლი თოვლი დასდო აქ. მუშა ხალხი ჭაზის სახლებში უსაქმურად და თან ათასნაირი ზიდმა უტრიალებს გულში. ვენახების მუშაობა ჩვენში უფრო ადრე დიდ-მარხვაში გათავებულა ხოლმე და წელს-კი, ვგონებ, აპრილის შუა რიცხვებშიაც ვერ გათავდეს, მეტადრე თუ ამისთანა ცუდი ტაროსები არ მოიშალა. სოფ. ხიმში ერთად ერთი პატარა სოფელია მთლად რაჭის მაზრაში. ამ სოფელში ირიცხება 60 კომლი გლეხი და აზნაური. არა ჰყოლია ამ უბედურ სოფელს დაარსებიდგან დღეს აქამომდე იმისთანა გულშემატკივარი სოფლის მოხელე, ანუ გარეშე კაცი, რომ ამ სოფლისათვის გზის გაკეთება ეზრუნოს. 1897 წელს-კი მოგვცეს იმედი მამასახლისის ზენდიანიშვილისაგან არამც თუ გზის გაკეთებისა, ამასთანავე მრავალის სხვა კეთილის საქმისა, ვინაიდგან იგი თითონ ამ სოფლის მკვიდრია. ჩვენი მოლოდინი ტყუილი გამოდგა, ისევ ის უბედურობა ადგია ჩვენს სოფელს უგზოობისა გამო, რაც წინეთ ედგა. მრავალჯერ ვსთხოვეთ ბ-ნს მამასახლისს ამ გზის გაკეთება, სიტყვით კი დაგვპირდა და საქმით ვერ მოგვასწრით და ვერც მოვესწრობით, ვგონებ.

სოფ. ხიმშს ჩამოუდის ერთი პატარა მდინარე ჭეშელა, რომელიც ზაფხულობით მხურვალე მზის გამო სრულიად ჭშრება, მხოლოდ გაზაფხულსა და წვიმიანობის დროს იგი ადიდდება და ვერც ცხენით და ვერც ფეხით კაცს გასვლა აღარ შეუძლიან. ადიდებული მდინარე ანგრევს და ახდენს გზასა, ყანასა და ვენახს. ხშირად ძროხასა და წვრილმან პირუტყვსაც-კი ახრჩობს. სწორეთ ამ მდინარის პირზედა გვაქ გზა, მაგრამ გზა სადაა? ტანჯვითა და წვალებით უნდება ნახევარ ვერსის გზის გავლას კაცი ოთხი, ხან ხუთი საათი. იმედია, ბ-ნი მამასახლისი არ დასტოვებს უყურადღებოდ თავის სამშობლო სოფელს და გზის გაკეთებას გულს დაუდებს.

ჩვენს სოფელს ახლო სძევს სოფ. ამბროლაური. ამ სოფელში ეს ორი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც დაარსდა უფასო სამკითხველო მამა ნიკიფორე კანდელაკის მეთაურობით. ერთს წელიწადს სწორედ სასურველად მიდიოდა სამკითხველოს საქმე და მკითხველიც ბევრი მიიზიდა, ერთის წლის შემდეგ სამკითხველოს საქმე ცუდად დატრიალდა, არ ვიცი ასე უცბად კუდურებმა შეუძლოცეს, თუ რა დაემართა? წევრებმაც ხომ ხელი აიღეს და ერთი კრებაც აღარ მოუხდენიათ იმის შესახებ. როგორც გავიგეთ, თურმე წევრებს ხვედრის ფულის გადება ეზარებათ. ამ სამკითხველოს მდგომარეობა კარგათ დაგვიხატა სავსებით წარსულის წლის გაზეთ „ივერიის" ერთ ნომერში ბ-ნ გ. ცენტერაძემ. მან უსაყვედურა წევრთ, უსაყვედურა მამა ნიკიფორე კანდელაკს და სამკითხველოს გამგეს ვლადიმერ გამყრელიძეს. მართლაც საყვედურის ღირსნი არიან პირველნი, ვლადიმერ გამყრელიძეს-კი საყვედური არ ეთქმის, მით უმეტეს, რომ ჯამაგირი ერთის წლისა კაპიკიც არა აქვს მიღებული და რაც შეიძლება პატიოსნად ემსახურება თავისს მოვალეობას. დასასრულ მადლობას უძღვნით სოფ. პატარა ონის მცხოვრებს აზ. კოზმა გიორგობიანს, რომელიც უსასყიდლოდ უგზავნის ამბროლაურის უფასო სამკითხველოს ჟურნალ „მოამბესა" და „კრებულს", აგრეთვე გვპირდება სხვა გაზეთების გამოწერასაც. მხოლოდ ეს ერთი პატიოსანი და გულშემატკივარი კაცი აღმოუჩნდა გასაუქმებლად გამზადებულს სამკითხველოს.

ვანო ჭიჭინაძე

# რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა გამოცდა 8 მაისამდის დასრულდესო.

— სახელმწიფო საბჭო მაისის გასულს განიხილავს მემამულეთა და გლეხთა მამულ-დედულის გასაზღვრის პროექტს.

— ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ ნავთის მწარმოებელთ მცირე გარდასახადით შემოიტანონ ხოლმე საზღვარ-გარეთიდგან ნავთის წარმოებისათვის საჭირო იარაღებიო.

— განზრახვა აქვთ სატახტო და საგუბერნიო ქალაქების საქმეთა საკრებულოებში ცვლილებანი შემოიღონ.

— მოსკოვის საიმპერატო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შუამდგომლობა დაუწყია მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა

---

— მე მარტო ერთად-ერთი და მარიამი მყავს, რომელიც ჩემზედ მდიდარია, ისიც-კი ხშირად მნახავს ხოლმე, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ეგ ჩემი პატივის ცემით არ მოსდის. ის მარტო იმ აზრით დადის, რომ ანდერძი დამაწერინოს თავის სასარგებლოდ. ჩემი გული იმან ვერ მოიგო, სიკვდილი-კი თანდათან მიახლოვდება: ეხლა სწორედ კარგი დროა, რომ მომაგონდით...

თუმცა ბიძის ხმა ალერსიანად და ტკბილად გაისმოდა, მაგრამ მის თვალებს-კი რაღაც ბოროტება ეტყობოდა. გულ ნაწყენს ქ-ნ მირუს ჯერ გამართლება უნდოდა, მაგრამ მერეკი გადასწყვიტა, რომ ეს გამართლება ამპარტავნობა იქნებაო. ესეც არ იყოს, განა სულ ერთი არ იყო მისთვის, რასა ჰფიქრობდა ბიძია. საჭიროდ ეხლა მარტო ის მიაჩნდა, რომ მოხუცი გაემხნევებინა, მისი მწუხარე აზრები გაეფანტა და ნუგეში ეცა ავადმყოფისათვის. ქ-ნი მირუმ ძალა დაატანა თავისს თავს და მხიარულის კილოთი წარმოსთქვა.

— აბა, ბიძა ჩემო, ეგ რამ გაფიქრებინათ, მე კვლავ უფრო ფერმკრთალი და ავადმყოფი მინახვიხართ.

ამ სიტყვების გაგონებისათანავე ბიძა წელში გაიმართა, თვალები გაუცოცხლდა და თუმცა სასტიკის ხმით ლაპარაკობდა, ქ-ნმა მირუმ შეამჩნია, რომ მისმა ნუგეშმა ძალიან ასიამოვნა.

— სცდებით, რომ მანუგეშებთ, ეგ თქვენთვის სასარგებლო არ არის. იქნება რაც დღეს მოვისურვე თქვენთვის, ხვალ ფიქრად არ მომივიდეს. კარგათ მოიფიქრეთ: ნუ დაივიწყებთ, რომ ოთხის შვილის დედა ბრძანდებით და დღეს თუ ხვალ მეხუთეს მოელით. თქვენი ქმარი ძალიან ცოტა ფულს იძენს და არც მერმისში მოელის რამ. ისარგებლეთ ამისთანა მდგომარეობით: გამომიტყდით, რომ ცხოვრება გაგიძნელდათ, რომ აქამდისაც თქვენი თავ-დაჭერილობა და ამპარტავნობა გიშლიდათ მაგის გამოთქმას, მაგრამ ეხლა მომაკვდავთან არც თავ-დაჭერილობასა და არც ამპარტავნობას ადგილი არა აქვს.

ამისთანა გულ-წრფელს ლაპარაკს, რასაკვირველია, შეეძლო შეეტყუებინა ქ-ნი მირუ და ჰგონებოდა, რომ ბიძას მართლის გულით უნდა მისი შემწეობა: მაგრამ ქ-ნმა მირუმ სულ სხვა აზრი ამოიკითხა მისკენ მიპყრობილ თვალებში. კარგათა ჰხედავდა, რომ ბიძა მოუთმენლად ელოდდა იმისს აზრს იმის შესახებ, თუ რა ყოფაში მიაჩნდა თავისი ბიძა.

ბიძამ ჩაახველა და განაგრძო:

— ჩემი ანდერძი აი იმ უჯრაში ძევს. აგერ ათი წელიწადია, რაც ეგ უჯრა არ გამიღია. საკმაოა, რომ ორიოდე კალამი მოვუსვა მაგ გერბის ქაღალდს... თუ თქვენის აზრით, ჩემი სიკვდილის დღე მოახლოვებულია, მითხარით.

ამ გვარათ დატრიალებულმა ბაასმა ქ-ნ მირუს ძალიან აწყენინა, მაინც თავი შეიმაგრა, რადგანაც, როგორც ახალგაზრდას, რომელსაც მთელი სიცოცხლე ჯერ კიდევ წინ ედო და იმედი არ წარკვეთოდა, — შეებრალა ეს უძლური მოხუცი, რომელსაც პირი სამარისაკენ ჰქონდა. გრძნობამ სიბრალულისამ ქ-ნ მირუს ტყუილის თქმა გააბედვინა.

— რას ბძანებთ, ბიძა ჩემო, თქვენ ჩვენც დაგვმარხავთ-და... მადლობა ღმერთს, რა გიჭირთ სამაგისო. თუ მაგისთანა ლაპარაკს არ მოიშლით, აღარას დროს არ მოვალ თქვენ სანახავად.

მოხუცს ლოყებზედ ფერი მიეცა, გაიღიმა და აღარ განაგრძო თავისი ლაპარაკი, როდესაც ქ-ნმა მირუმ წასვლა დააპირა, ბიძამ პატარა ბავშვებს დაუძახა, მოუალერსა და მერე შიშით იკითხა:

— ხუთშაბათს ხომ მოხვალთ ჩემს სანახავად?..

ქ-ნმა მირუმ გაუღიმა და რაც შეიძლებოდა, დამშვიდებულის ხმით მიუგო:

— რასაკვირველია უთუოდ... ჩვეულებრივ.

III

ქ-ნს მირუს მთელის კვირის განმავლობაში თავისის ბიძის ამბავი აწუხებდა, ბევრჯელ კიდეც დააპირა იმისი ნახვა, მაგრამ თან ის აბრკოლებდა, რომ თავისი მოულოდნელი მისვლით ბიძა არ შეეშინებინა. აი, ხუთშაბათიც დადგა და ქ-ნი მირუ თავისის ბავშვებით ბიძისაკენ გაეშურა. მის სადგურს რომ მიუახლოვდა, დაინახა ჩაკეტილი დარაბები, ელდა ეცა და მეკარისაკენ გაეშურა.

— რა ამბავია ბიძა ჩემისა?

— წუხელ გარდაიცვალა.

ქ-ნს მირუს მუხლები ჩეეკეცა და იქვე სკამზედ დაეშვა.

აი რა უამბო მეკარემ.

— თქვენ წასვლის შემდეგ წარსულს ხუთშაბათს საცოდავი ცოტა მოკეთდა, თუმცა დიდ სისუტესა ჰგრძნობდა. მთელი კვირა იმას გაიძახოდა: „გაივლის... ჯერ დასასრული შორს არის... ჩემმა დისწულმა მითხრა. „ბიძა თქვენი ძალიან ბეჯითად ასრულებდა ექიმის ყველა რჩევას. ისე იცინოდა ჩემს ხუმრობაზედ, თითქო ერთი ოცი წელიწადი სიცოცხლე კიდევ დარჩენიაო.

ჰო, ჩემო ქალბატონო, დიდი ბედნიერებაა მაგ ნაირი მშვიდი სიკვდილი... ისე განუტევა სული, რომ თითონაც ვერ მიხვდა. მარტო უკანასკნელ წუთს, წუხელ საღამოს, დამიძახა და მითხრა: „აბა ზეწრის ქვეშ მინახეთ... თითქოს ფეხებზედ ცივი ხელები მეხვევა!"

მაშინვე მივხვდი, რომ გონება დაეკარგა. მაინც მინდოდა საცოდავი მესიამოვნებინა, სანთელი გვერდით მოუდგი და ზეწრის ქვეშ მინდოდა მენახა, მაგრამ ამ დროს აღშფოთებული ხმა მომესმა: „ოჰ, ეხლა-კი მესმის, ეს ცივი ხელები რას ჰნიშნავს... დაანებეთ მაგას თავი... აი, იმ განჯინაში მარცხენა უჯრიდგან გერბის ქაღალდი გამოიღეთ... ჩქარა! იქნება კიდევ მოვასწრო დაწერაო... მაშინათვე მივხვდი იმისს სურვილს, მაგრამ ერთის ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარ, რომ საცოდავმა სული განუტევა. ერთი-კი ამოიოხრა და სულიც თან ამოჰყვა. იმისმა ამოსუნთქვამ სანთელიც-კი ვერ ჩააქრო. სწორე მოგახსენოთ, ამისთანა სიკვდილი ბედნიერებაა!

მეკარემ ეს ამბავი რომ გაათავა, საიდუმლო ხმით დაუმატა:

— დილას ნოტარიუსი და დედა თქვენი მარიამი იყვნენ იქ...ის არის მემკვიდრე.

IV

ერთი საათის შემდეგ ქ-ნი მირუ კვლავინდებურზედ უფრო მოქანცული და თვალცრემლიანი მიუძღოდა თავისს ბავშვებს ამსტერდამის ქუჩაზედ შინისკენ, სადაც ისევ გაჭირვებული და ბრძოლით სავსე ცხოვრება მოელოდა.

გზა და გზა ქ-ნი მირუ უნებურად ამჟღავნებდა თავისს აზრებს და თან ბავშვებს აფრთხილებდა:

— რაც უნდა მომხდარიყო, მე მაინც ესე მოვიქცეოდი... ტოტო ამ ქალბატონს გზა მიეცი... უკაცრაოდ, ქალბატონო... ისიც კარგია, რომ ჩემის შემწეობით მშვიდი სიკვდილი ეღირსა... ფეხებს ნუ მიათრევ, ლოლოტ!.. დეიდა ჩემისათვის ეს მემკვიდრობა საჭირო არც-კი იყო, ჩვენთვის-კი... ეტლს მოერიდეთ, მოიცადეთ!.. მაინც ისევ ასე სჯობდა გაჭირვებას კიდევ არა უშავს-რა, გაივლის, და პატიოსნება-კი კაცმა უნდა ყოველ დროს და მდგომარეობაში გამოიჩინოს. აი ეხლა, გადადი, ჩემო პიერო.

ანასტასია გედევანიშვილი

სამინისტროს წინაშე, რომ მიწათმოქმედებისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელთა თანადასწრებით მეურნეთა კრება იქმნას გამართული წვრილის კრედიტის შესახებ მოსალაპარაკებლადაო.

— განზრახვა აქვთ სამსახურიდგან დაითხოვონ ის რკინის გზის მოსამსახურენი, რომელნიც ფეხების ძარღვების სიგანივრით არიან ავად.

## უცხოეთი

**ისპანია და შეერთებული შტატები.** თუმცა ჯერ ფორმალურად ომი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ, როგორც კივესტიდგან მოსული გუშინდელი დეპეშა იუწყება, ამერიკის სამხედრო გემები უკვე დაეცნენ მატანზასის სიმაგრეს და ზარბაზნების სროლა დაუწყეს. ბრძოლამ ნახევარი საათი გასტანა. ამერიკელებს არაფერი ზარალი არ მოსვლიათ, ხოლო ისპანელთ რამდენიმე კაცი მოუკლეს. ამ რიგად შეერთებულმა შტატებმა აღარ დაუცადეს ისპანიის პასუხს და კუბის აღებას მიჰყვეს ხელი. მატანზასი კუბის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს, უმთავრეს ქალაქ ჰავანის მახლობლად. აშკარაა აქედგან, რომ შეერთებული შტატების უმთავრესი ფლოტი, რომელიც ამერიკის ქალაქ კივესტში იყო გაჩერებული, უკვე შემოერტყმია კუბას, მაშინ, როდესაც ისპანიის ფლოტი ჯერ ისევ გზაშია და კუბამდინ არ მიუღწევია.

— საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ისპანიის ერთის ესკადრის ადმირალმა, სახელდობრ ვილლალომ, ვიდრე კადიკსიდგან კუბისაკენ წაიდოდა, მთელის თავისის ესკადრის აფიცრები და ჯარის კაცები ღვთის-მშობლის ეკკლესიაში წაიყვანა და იქ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა მათ: „ვისაც ბრძოლისა ეშინიან, ვთხოვ ეხლავე განაცხადოს და იმას აქ დავსტოვებო.“ ამაზედ ყველამ ერთხმად შეჰყვირეს: „ან სიკვდილი, ან ისპანიის გამარჯვება! ჩვენი სიცოცხლე სამშობლოსთვის შეგვიწირავს!“-ო. შემდეგ ყველამ ფიცი დასდო, რომ თუ არ გავიმარჯვებთ ცოცხლები შინ ნუ დავბრუნდებითო. იგივე გაზეთები იუწყებიან, რომ ისპანიის მთავრობას ყოველ დღე სხვა და სხვა კუთხიდგან აუარებელი ფული მოსდისო. გარდა ამისა თავისუფალი მეომართა რიცხვიც მრავალია თურმე.

— მაგრამ ამ შემთხვევაში, გაზეთების სიტყვით, შეერთებულმა შტატებმა გადააჭარბეს ისპანიას. ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, რომ ამ ქალაქს აზრადა აქვს თავისის ხარჯით ექვსი რაზმი შეადგინოს და ბრძოლის ველზედ გაისტუმროს. ფულს ხომ ნუღარ იტყვით! აუარებელის შეწირულების გარდა, ასე გასინჯეთ, ამერიკის გაზეთები 1000-2000 მანეთს ჰპირდებიან იმას, ვინც ერთს ისპანიის დროშას მოიტაცებს. ერთი გაზეთი 2000 მანეთს ჰპირდება იმას, ვინც გენერალ ვეილერს დაატყვევებს და ამერიკაში მიიყვანს. ხალხი ისე გაიტაცა ამ ომმა, რომ ბევრი შეუძლებნაც-კი შეიშალა თურმე.

გაზ. „Indep Belge“ იუწყება, რომ კუბაში დარაზმულის ჯარის გარდა ისპანიას 80,000 თავისუფალი მეომარიცა ჰყავსო. საზოგადოდ კუბაში იმდენა ჯარია და ზღვის ნაპირებზედ მდებარე ქალაქები ისე კარგად არის გამაგრებული, რომ ამ კუნძულის აღება ისე ადვილი არ არის, როგორც ამას ამერიკელები ჰფიქრობენო.

## ნაკვესი

— რა დაგმართებია, რადა ხარ აგრე ნაღვლიანი?

— გაზეთში წავიკითხე, რომ ერთი დიდად შეძლებული კაცი მომკვდარა.

— მერე რაო, ნათესავად მოგხვდებოდა განა?

— უბედურებაც ეგ არის, რომ სულ უცხო იყო ჩემი!

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პროფესორი ლომბროზო სწერს ნაპოლეონის შესახებ: ჩემის აზრით ბნედა, გენიოსობა და ავაზაკობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანერთთან. ნაპოლეონის მთელის ცხოვრების ისტორია ნათლად ამტკიცებს ამ ჩემს აზრს. სახელოვანს სარდალს თურმე ბნედა სჭირდა, ხანდახან გონება ებნეოდა და ამ დროს მეტად სასტიკი იყო ხოლმე.

ამ ბოლო დროს მეცნიერნი იმ აზრს დაადგნენ, რომ ბნედა უფრო ხშირია იმ კაცებ შორის, ვისაც მამა ლოთი ჰყოლია. ნაპოლეონს-კი თითონ უთქვამს, მამა ჩემი ძლიერ ლოთობდა და ლოთობისაგან გარდაიცვალაო. სწორედ ეს არის მიზეზიო, სწერს ლომბროზო, რომ თუმცა ნაპოლეონი გენიოსი იყო, მაგრამ ზნეობის მხრივ-კი ბევრი რამ ესაყვედურება. აგრედვე ნაპოლეონის დები ცუდის ზნის დედაკაცები იყვნენ, განსაკუთრებით იმისი და პოლინა, რომელსაც სრულებით არა სცხვენოდა ტანთ-საცმელი გაეხადა ხოლმე სკულპტორის კაზანოვის წინაშე.

გარეგანი შეხედულებაც ნაპოლეონისა არა ჩვეულებრივი იყო. ტანი მეტად დაბალი, საფეთქლები ჩავარდნილი და დიდრონი ყბები. ფეხები მეტად მოკლე ჰქონდა და წელი მოხრილი.

ნაპოლეონს შესანიშნავი ყნოსვა ჰქონდა და ხშირად სჩივოდა ხოლმე, ცუდი სუნი მესმისო იმ დროს, როცა სხვებს არავითარი ცუდი სუნი არ ესმოდათ. აგრედვე მუდამ სიცივესა ჰგრძნობდა და ოთახებში ცეცხლს ანთებინებდა ივნისამდე. გვალვისა და ამინდის შეცვლის დროს ნაპოლეონი მუდამ ავადმყოფობდა და ცუდს გუნებაზე იყო ხოლმე. თავის ტკივილიც ძლიერ იცოდა, ხან თავის ქალის ერთი ნახევარი სტკიოდა, ხან მეორე (ჩვენში ასეთს ავადმყოფობას შაკიკს ეძახიან). გაჯავრების დროს კვლანჩხვა მოსდიოდა. საზოგადოდ ჩვეულებად ჰქონდა მარჯვენა მხრის აწევა და ტუჩების მოკუმვა.

ბნედა ნაპოლეონს ჯერ ისევ ბავშვობის დროს გამოაჩნდა. ნორვენი სწერს, რომ ერთხელ სასწავლებელში ბონაპარტი უნდა დაესაჯათ, მაგრამ ბნედა დაემართა და აღარ დასაჯესო.

ერთის დედაკაცის დღიურში სწერია, რომ 1804 წელს, 10 სექტემბერს, ჟოზეფინას დასწრებით იმპერატორს ნაპოლეონს ბნედა მოუვიდა. იმპერატრიცას ძლიერ შეეშინდა და ყვირილი დაიწყო—მიშველეთო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ნაპოლეონი გონს მოვიდა.

ერთხელ კიდევ კონსტანმა ჰნახა ნაპოლეონი ლოგინში გონება წასული, დაბნედილი. როგორც იყო გამოაღვიძეს და ნაპოლეონმა სთქვა, სიზმარში ვნახე, ვითომ დათვი დამეცა და მპუნიდაო. აი ერთი მაგალითიც. 1805 წელს ნაპოლეონი სტრასბურგში მიდიოდა და თან ტალეირანი ახლდა. ერთხელ ნასადილევს ნაპოლეონი შევიდა ჟოზეფინას ოთახში და იმ წამსვე უკან გამობრუნდა. მოჰკიდა ხელი ტალეირანს, ძალით შეიყვანა მეორე ოთახში, უბძანა, კარები ჩაჰკეტეო, და მერე მკვდარივით დაეცა იატაკზე. მთელის თხუთმეტის წუთის განმავლობაში დაბნედილი იყო, მაგრამ ნახევარ საათის შემდეგ კარლსრუეს გზას ადგა. ვალნეი სწერს, ნაპოლეონის ბნედის ბრალია, რომ ზოგიერთი მისი მოფიქრება არ ასრულებულა და მისი საქმე განსაცდელში ჩავარდნილა. მაგალითად, ბოროდინოს ბრძოლა მშვენივრადა ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ ვიდრე ბრძოლა დაიწყებოდა, ნაპოლეონს ბნედა მოუვიდა და შესაფერი ბრძანება ველარ გასცა.

სწორედ ამ ბნედის ბრალია, რომ ნაპოლეონი უზნეო კაცი იყო. ტენი ამბობს, რომ ნაპოლეონი ავაზაკსა ჰგავდაო.

ამის დასამტკიცებელი მაგალითი მრავალია, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ. ერთხელ მეტერნიჰმა უთხრა, უკანასკნელმა ომმა ორასი ათასი კაცი იმსხვერპლაო. ნაპოლეონმა უპასუხა: „რას ნიშნავს ჩემთვის ეგ ორასი ათასი კაცი!“ მეორედ ჟოზეფინას უთხრა: „მე ისეთი კაცი არა ვარ, როგორც სხვები, ჩემთვის არც ზნეობის კანონები არის და არც თავაზიანობისა“.

რამდენად უზნეო კაცი იყო ნაპოლეონი, შემდეგი მაგალითი ამტკიცებს. ერთხელ ერთის დიდის კაცის ცოლს კაბაზედ ზეთი გადაასხა იმ განზრახვით, რომ ცალკე ოთახში გაეყვანა.

როგორც ყველა ბნედიანი კაცები, ან როგორც მეცნიერები ეძახიან, ეპილეპტიკები, ნაპოლეონი მეტად ავ-გული კაცი იყო და ადვილად იცოდა გაჯავრება. თვისი სურვილი კანონად მიაჩნდა, განრისხება სამართლიანობად და უზნეობა—ჭეშმარიტებად.

ამბობენ, მაგალითად, რომ ერთხელ, როდესაც ვოლნეიმ უთხრა: „საფრანგეთს ბურბონები უნდა მეფეებდაო“, ფეხზედ ფეხი დაადგა და ძლიერ ატკინა. გრაფ გობენცლთან მოლაპარაკების დროს ნაპოლეონმა ძვირფასი ვაზა გაუტეხა და მრისხანედ დაიძახა: „ასე მოვექცევი მე მონარქიასაც“. თავისს ძმას ლუის ერთხელ ხელი მოჰკიდა და კარებიდგან გასტყორცნა. მეტად მოუთმენლის ხასიათისა იყო და თუ მალე ვერ მოახერხებდა ტანთ-საცმელის ჩაცმას, ბუხარში შეჰყრიდა ხოლმე.

ერთის სიტყვით, ნაპოლეონი ავაზაკი იყო და არ ინდობდა არც ერს, არც სარწმუნოებას და არც სეხელმწიფოს.

ამავე დროს ნაპოლეონი დიდის ჭკუისა და ხასიათის კაცი იყო. მას შეეძლო სულ ცოტა ხანში იმოდენა საქმე გაეკეთებინა, რომელსაც სხვა ვერ მოახერხებდა. ხშირად თორმეტი საათი გაუტარებია ცხენზედ, მერე ცოტა დასვენების შემდეგ ისევ საქმეს შესდგომია.

პარიჟში ხშირად წამომდგარა ლოგინიდგან და უკარნახებდა ბრძანებას მდივნებს' რომლებიც კარებთან ყარაულობდნენ. საკვირველი ის არის, რომ ნაპოლეონის ბრძანება ისეთის სისწორითა და სიმარტივით იყო ხოლმე გადაცემული დასაწერათ, რომ წაკითხვა საჭირო არ იყო.

მინისტრებთან რომ ლაპარაკს გაათავებდა ხოლმე, მერე მხატვრებსა და მწერლებს ესაუბრებოდა. „აუარებელი საქმე და ფიქრი ნაპოლეონისა, სწერს ტენი,—სხვა კაცისათვის მეტად გადაჭარბებული და შეუძლებელი იქმნებოდა“.

ფანტაზია ნაპოლეონისა სწორედ რომ საოცარი იყო; მის მიერ შესრულებული საქმე საკვირველი; დაწყობილი და დამზადებული საქმე უფრო საკვირველი; ხოლო მის მიერ განზრახული საქმე და მისი ფიქრი—გასაოცარი. „მე ყველაზედ უფრო მალე და სწრაფად შემიძლიან ყველაფრის მოფიქრებაო, ამბობდა თავისს თავზედ ნაპოლეონი.

ხან და ხან კი ნაპოლეონი ისეთ ყოფაში იყო, რომ დანარჩენ საშუალო ჭკუის პატრონზე ნაკლების ჭკუით სჯიდა საქმეს. ამით აიხსნება, მაგალითად, მისი განზრახვა რუსეთში წასვლისა საომრად, თუმცა ამის წინააღმდეგნი იყვნენ ყველანი.

ნაპოლეონს ძლიერ უყვარდა მაჭანკლობა. მან ცოლები შერთო თავისს ძმებს, ძმისწულებსა, გენერლებს, მარშლებს. ანდერძათ დასტოვა, ჩემმა მოსამსახურემ ესა და ეს ქალი შეირთოს ცოლადაო.

მხატვრობისა ნაპოლეონს არაფერი ესმოდა რა და სურათს სიდიდით აფასებდა.

ამბობენ აგრედვე, რომ ნაპოლეონს სწამდა თავისი ბედის ვარსკვლავი და წმ. ელენეს კუნძულზედ შიშმა შეიპყრო, როდესაც კუდიანი ვარსკვლავი დაინახა. საზოგადოდ ნაპოლეონი ცრუ-მორწმუნე იყო. ჯარს რომ მიუძღვოდა ხოლმე ქუჩაში, ფანჯრებსა და სახლებსა სთვლიდა.

ამ გვარად გენიოსობასთან ერთად ნაპოლეონსა სჭირდა ეპილეპსიაც, ანუ ბნედა, რის გამოც იგი იყო მეტად სასტიკი და თავმოყვარე.

ამ გვარადაო, სწერს დასასრულ ლომბროზო, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეპილეპსია ანუ ბნედა კარგს ნიადაგს წარმოადგენს გენიოსობისთვის და ამის მაგალითიც ბევრიაო. მერე ლომბროზო ამ მაგალითებსაც ჩამოსთვლის. ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 აპრილი

**კივესტი.** ამერიკის გემებმა ზარბაზნები დაუშინეს მატანზასის ნავთსადგურს. ბრძოლამ ნახევარ საათს გასტანა. ისპანიელების მხრივ ბევრი ხალხი დაიხოცა. ამერიკელებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

**ჰავანნა.** ისპანიის ორი გემი ასცდა ალყას. ისპანიის ერთი ნაღმიანი გემი შეხვდა ამერიკის გემს და ბრძოლა დაიწყეს. ამერიკის გემი დაშავებული განშორდა.

მთავრობის მიერ გაგზავნილი კომისია აჯანყებულთა ბანაკში უკან აღარ დაბრუნებულა. ამბობენ, რომ აჯანყებულებთან შერიგება არ მოხერხდაო.

**კივესტი.** მონიტორმა „Ferror“ შეიპყრო ისპანიის გემი, რომელიც ლივერპულიდგან ჰავანნაში მიდიოდა და ისპანიის ჯარისათვის სურსათი და ფული მიჰქონდა.

18 აპრილი

**იოკაჰამა.** ხმა ისმის, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის მოთანხმება მოხდა კორეას შესახებ.

**მადრიდი.** ამერიკის ესკადრას ფილიპინის კუნძულებთან კვირას მიელიან. ისპანიის ესკადრა ორად გაიყო. ამათში ერთი მანილიის ნავთსადგურს ყარაულობს და მეორე მტერს ელოდება ფილიპინის კუნძულებთან.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ის ვაშინგტონელს კორესპონდენტს პრეზიდენტთან ჰქონია ლაპარაკი, რომლიდგანაც სჩანს, რომ პრეზიდენტი დარწმუნებულია, ინგლისსა და შეერთებულ შტატებ შორის მეგობრობის გარდა სხვა არავითარი კავშირი არ არის საჭირო. მაკ-კინლეი იმ აზრისაა, რომ საქმეთა ვითარება არ შეიცვლება.

**მადრიდი.** ბლანკოს დეპეშა ამტკიცებს, რომ მატანზასისათვის მართლა ზარბაზნები დაუშენიათ. სადგურს ერთის საათის განმავლობაში ესროდნენ ზარბაზნებს, თუმცა ვერაფერი დაუშავეს. საფრანგეთისა და ავსტრიის ელჩებმა სინააღმდეგობა განაცხადეს, რადგანაც გამოცხადებული არ იყო, რომ ნავთ-სადგურს ზარბაზნებს დაუშენდნენ.

### „ივერიის“ ფოსტა

**ან. ე—ს.** ლექსი „მეგობარს“ არ დაიბეჭდება.

**ქ. ქუთ—სი.** „**მეაბრეშუმეობისა და ფეიქრობის ახალს მმართველობას**“. თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილიკი არ არის რედაქციის მიმართ, განცხადებაა და მხოლოდ საფასურით შეიძლება მაგისი დაბეჭდვა იმის კვალობაზედ, რამდენი სტრიქონიც გამოვა.

**ი. ოქ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ი—ტა. ი—კოს.** არ დაიბეჭდება.

**განრიცხულს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ლ. ჩოხატაურელს.** თქვენი მოთხრობა „სიკვდილი მოღალატეს“ არ დაიბეჭდება.

**ი. ჩ—ანს.** ლექსი „ავადმყოფი“ არ დაიბეჭდება.

**სოფ. შილდა. მ—შვილს.** თქვენი წერილი ამ ხელობაზედ არ დაიბეჭდება. როდესაც საქმეს სასამართლო განიხილავს და მისი გარდაწყვეტილება ძალაში შევა, გამოგვიგზავნეთ გარდაწყვეტილებისა და ოქმის პირი და მაშინ დავბეჭდავთ.

**ქ. ლ—ნი. ს. ძ—ნს.** არ დაიბეჭდება წერილი: „საქართველოს საერო მუზეუმი“.

**ჭაგნის მასწავლებელს ვლადიმერ კოპალეიშვილს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ფული 1 მან. 44 კაპ. „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“ გარდავეცით.

**დ. ლ—თი. ფ. ფ—შვილს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 ამ აპრილს, იმისის თანადასწრებით, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დანიშნულია უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა ერევნის მოედანზედ მყოფ ქალაქის სახლის

**დუქნებისა და სარდაფების იჯარით გაცემისა**

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღე, უქმე დღეების გარდა, 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—3)

### ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **23 აპრილიდგან** მოქმედებას დაიწყებს

**ქალაქის სამკურნალო**

გარეშე მოსიარულეთათვის.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ:

გ. ი. მაქაბერიძე დღის 12—2 საათამდის.

ნ. ა. ტერ-ნიკოღოსოვი დილის 10—12 საათამდის.

დ. ს. ტერ-სტეფანოვი—საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. სამკურნალოში შესასვლელი ფასი 20 კაპ, ღარიბებს ქალაქის გამგეობის მიერ მიცემულ ბილეთების მიხედვით უსასყიდლოდ შეუძლიანთ შესვლა. მეტად ღარიბებს ამას გარდა, მუქდათაც მიეცემათ წამალი სამკურნალოს აფთიაქიდგან.

(2—6.—1)

## ისყიდება

### მიწა ნაჭრებად

**ვერაზედ** მუშტაიდის პირდაპირ, არტილერიის ყაზარმის ახლო.

იკითხეთ სანდრო მინდიაშვილი, წყნეთის ქუჩა, № 2.

(2—72—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Апрѣля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.